

სს „ბამბის ნართი“

ფინანსური ანგარიშგება
აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშო წლისთვის რომელიც დასრულდა
2015 წლის 31 დეკემბერს

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს „ბამბის ნართის“ ხელმძღვანელობას

ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა სს „ბამბის ნართი“-ს (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების (თან ერთვის) აუდიტორული შემოწმება, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისგან და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების წარმოებაზე და მის სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს პასუხისმგებლობა მოიცავს: ადეკვატური შიდა კონტროლის სისტემის დიზაინირებას, შემუშავებასა და განხორციელებას, რომელიც არ უნდა შეიცავდეს არსებითი ხასიათის უზუსტობებს, თაღლითობისა და/ან შეცდომების გამო; კომპანიის მენეჯმენტი ვალდებულია შეარჩიოს და გამოიყენოს აპრობირებული სააღრიცხვო პოლიტიკები, და მოახდინოს მათ მიხედვით აღრიცხვა-ანგარიშგება, რომელიც პასუხისმგებელი და შესაბამისი იქნება არსებულ გარემოებებთან.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენ გვევალება, ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვხატოთ მოსაზრება წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შესახებ. სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენ ვაკმაყოფილებდეთ ეთიკის მოთხოვნებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს. აუდიტი ითვალისწინებს მტკიცებულებების შემოწმებას ტესტირების საფუძველზე, ფინანსური ანგარიშგების და მისი თანხლები ახსნა-განმარტებითი შენიშვნების დადასტურების მიზნით. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ბუღალტრული დაშვებების სისწორის შეფასებას, აგრეთვე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შეფასებას მთლიანად. ჩვენ გვჯერა, რომ განხორციელებული აუდიტი იქნება ისეთ, მტკიცებულებებზე დამყარებული, რომელიც არსებითი და სათანადო იქნება, ჩვენს მიერ გამოთქმულ მოსაზრებებთან.

დასკვნა

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობას საანგარიშო წლისთვის 2015 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 31 დეკემბრამდე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

დირექტორი

შ.პ.ს აუდიტორი კონცერნი “ცოდნისა”

ნინო კალანდია
07.03.2016

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენ.	31.12.2015	31.12.2014
სულ მიმდინარე აქტივები:		233 187	419 001
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	3	73 952	262 355
მთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	4	42 393	156 519
სასაქონლო მატერიალური მარაგი	5	7 652	127
წინასწარ გადახდილი გადასახადები	6	106 690	
სხვა მიმდინარე აქტივები	7	2 500	
სულ გრძელვადიანი აქტივები:		632 106	674 176
ძირითადი საშუალებები	8	579 889	663 923
გადავადებული საგადასახადო აქტივი	9	52 217	10 253
აქტივები სულ:		865 293	1 093 177
სულ მიმდინარე ვალდებულებები:		22 436	157 706
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	10	3 046	6 235
გადასახდელი გადასახადები	6		128 371
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	11	19 390	23 100
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები:		-	-
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება გრძელვადიანი სესხები			
ვალდებულებები სულ:		22 436	157 706
სააქციო კაპიტალი	12	926 304	926 304
გაუნაწილებელი მოგება / (დაუფარავი ზარალი)		(83 447)	9 167
მ.შ მიმდინარე წლის მოგება (ზარალი)		(70 211)	710 699
კაპიტალი სულ:		842 857	935 471
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:		865 293	1 093 176

დავით პაპუნაშვილი ----- სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე

გიორგი ქართველიშვილი ----- დირექტორი

2015 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენ.	<u>2 015</u>	<u>2 014</u>
შემოსავალი რეალიზაციიდან	14	341 675	1 068 788
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15	(34 482)	
სარეალიზაციო მოგება (ზარალი):		<u>307 194</u>	<u>1 068 788</u>
სხვა შემოსავლები /(ხარჯები) საოპერაციო საქმიანობიდან	16	(66 780)	(29 185)
სულ საოპერაციო მოგება (ზარალი):		<u>240 414</u>	<u>1 039 603</u>
საერთო-ადმინისტრაციული ხარჯები	17	(298 906)	(187 397)
სულ საოპერაციო ხარჯები		<u>(298 906)</u>	<u>(187 397)</u>
მოგება (ზარალი) საოპერაციო საქმიანობიდან:		<u>(58 493)</u>	<u>852 206</u>
ფინანსური ხარჯები			(13 818)
მოგება (ზარალი) საკუროსო სხვაობებიდან		6	6 051
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	18	(54 713)	(1 735)
მოგება დაბეგვრამდე:		<u>(113 199)</u>	<u>842 704</u>
მოგების გადასახადის ხარჯი (შემოსავალი)	19	42 988	(132 005)
მოგება დაბეგვრის შემდეგ:		<u>(70 211)</u>	<u>710 699</u>
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი):		<u>(70 211)</u>	<u>710 699</u>

დავით პაპუნაშვილი ----- სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე

გიორგი ქართველიშვილი ----- დირექტორი

2015 წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2 015	2 014
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	240 721	176 338
გადახდილი ხელფასები	(69 223)	(59 642)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(114 242)	(64 978)
გადახდილი მოგების გადასახადი	(231 925)	(10 476)
გადახდილი გადასახადი, მოგების გადასახადის გარდა	(78 965)	(86 442)
საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი	(253 633)	(45 200)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(35 259)	
ძირითადი საშუალებების გასვლიდან შემოსულობანი	124 380	939 569
საინვესტიციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი	89 121	939 569
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდები	(23 891)	(419 116)
გადახდილი სესხები		(203 575)
გადახდილი პროცენტები		(13 818)
ფინანსური საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი	(23 891)	(636 509)
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა (კლება)		
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტების წმინდა ნაზრდი:	(188 403)	257 860
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში:	262 355	4 494
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს:	73 952	262 355

დავით პაპუნაშვილი ----- სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე

გიორგი ქართველიშვილი ----- დირექტორი

სს „ბამბის ნართი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება (ზარალი)	სულ:
<u>ნაშთი 2014 წლის 1 იანვრისთვის</u>	<u>926 304</u>	<u>(238 370)</u>	<u>687 934</u>
სააქციო კაპიტალი გაზრდა (შემცირება)			-
მიმდინარე პერიოდის მოგება (ზარალი)		710 699	710 699
განაწილებული დივიდენდი		(463 162)	(463 162)
<u>ნაშთი 2015 წლის 1 იანვრისთვის</u>	<u>926 304</u>	<u>9 167</u>	<u>935 471</u>
სააქციო კაპიტალი გაზრდა (შემცირება)			-
მიმდინარე პერიოდის მოგება (ზარალი)		(70 211)	(70 211)
განაწილებული დივიდენდი		(21 377)	(21 377)
<u>ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრისათვის</u>	<u>926 304</u>	<u>(82 421)</u>	<u>843 883</u>

დავით პაპუნაშვილი ----- სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე

გიორგი ქართველიშვილი ----- დირექტორი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები იმ საანგარიშო წლისთვის რომელიც დამთავრდა 2015 წლის 31 დეკემბერს

1. ორგანიზაცია და ძირითადი აქტივობები

სს „ბამბის ნართი“ (შემდგომში – *საწარმო* ან *კომპანია*) წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელიც შექმნილია ყოფილი სართავი ფაბრიკის ბაზაზე და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულ იქნა 1996 წლის 25 ოქტომბერს გლდანი-ნაძალადევის სასამართლოს №1-5-22 დადგენილებით. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია – 200003085. იურიდიული მისამართია – ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ვახტანგ ნინუას ქუჩა №3. კომპანიის ხელმძღვანელია გიორგი ქართველიშვილი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უძრავი ქონების გაქირავება.

დამფუძნებლები

კომპანია წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელსაც ჰყავს 868 აქციონერი ფიზიკური პირი და რომლის აქციონერთა რეესტრს აწარმოებს სს „ფასიანი ქალაქების რეგისტრატორი“. გამოშვებული და განთავსებული აქციების რაოდენობა შეადგენს 712541 ცალს.

2. ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა

ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

კომპანიის 2015 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (*IFRS*).

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების მეთოდით.

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი. ანგარიშგების მიზნებისათვის ლარი გამოყენებულია როგორც საპრეზენტაციო ვალუტა.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ექვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ნაღდი ფული კომპანიის სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში აისახება პირვანდელი ღირებულებით რომელსაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების ხარჯები. ცვეთის დარიცხვა ხდება შემცირებულ ნაშთთა მეთოდით ყველა ძირითადი საშუალებისთვის. ცვეთის პროცენტები ძირითადი საშუალებების ჯგუფების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

შენობა-ნაგებობები	– 20 წელი;
მანქანა-დანადგარები	– 12 წელი;
ინვენტარი და მოწყობილობები	– 5 წელი;

ძირითადი საშუალებების შეძენის თვე ცვეთის დარიცხვის მიზნებისთვის აიღება როგორც სრული თვე, ხოლო ძირითადი საშუალების გასვლის თვე ცვეთის დარიცხვის დროს არ გაითვალისწინება. ძირითადი საშუალება იცვითება იმ თვიდან როდესაც ხდება მისი ექსპლუატაციაში გაშვება ან ის მზადაა ექსპლუატაციაში გაშვებისთვის.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა გაუფასურებასთან მიმართებაში ხორციელდება, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების გადაფასების ნებისმიერი მეტობა ემატება კაპიტალში ჩართული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის ახდენს იმ აქტივის გადაფასების კლების უკუქცევას, რომელიც უწინ აღიარებული იყო სრული შემოსავლის ანგარიშგებაში; ამ შემთხვევაში, ზრდა აისახება კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გადაფასების დეფიციტის აღიარება ხდება კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დეფიციტი, რომელიც პირდაპირ აბათილებს იმავე აქტივის მეტობას, ბათილდება ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის მეტობით.

ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვიდან გაუნაწილებელ მოგებაში ასახვა ხორციელდება გადაფასებული საბალანსო ღირებულების საფუძველზე გამოთვლილ ცვეთასა და თავდაპირველ ღირებულებაზე დაყრდნობით გამოთვლილ ცვეთას შორის სხვაობისათვის. ამასთან, გადაფასების დღისთვის აკუმულირებული ცვეთა იქვითება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებასთან მიმართებაში და გადაფასებული აქტივი ხელახლა აისახება წმინდა ღირებულებით. გადაცემისას, კონკრეტულ გაყიდულ აქტივთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაფასების რეზერვი გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაზე.

შეკეთებასთან ან განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისთანავე და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში, თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

ძირითადი საშუალების ჩამოწერა ხდება გაყიდვის შემდეგ ან, როდესაც მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად. ძირითადი საშუალებების ჩამოწერისას წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი (გამოთვლილი, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) შეტანილია იმ წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც ხდება აქტივის ჩამოწერა.

გადასახადები

მოგების გადასახადი შედგება მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადისაგან. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მოგების გადასახადი პირდაპირ აღიარდება, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ის უკავშირდება უშუალოდ კაპიტალის მუხლებს. ასეთ შემთხვევებში მოგების გადასახადი აისახება პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე საგადასახადო ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე წლის გადასახდელ გადასახადს, რომლითაც იბეგრება ერთი წლის შემოსავალი იმ განაკვეთით, რომელიც მოქმედებს საანგარიშო პერიოდისათვის. ასევე ამ დროს ხდება წინა წლებში გადახდილი გადასახადების კორექტირება.

გადავადებული მოგების გადასახადის განსაზღვრა ხდება საბალანსო ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით, რომელიც გამოითვლება ფინანსური ანგარიშგებისათვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და საგადასახადო მიზნების თანხებს შორის დროებითი სხვაობით.

გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები გაიქვითება ერთმანეთში, თუ არსებობს კანონიერი უფლება მიმდინარე საგადასახადო აქტივები გაიქვითოს მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულებებით და გადავადებული მოგების გადასახადები ეხება იმავე საგადასახადო ორგანოს.

ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას. უცხოური ვალუტის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) სავალუტო გაცვლითი კურსით საანგარიშგებო თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გადაფასებით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი (საკურსო სხვაობა), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოგების ან ზარალის აღიარება ხდება პირდაპირ კაპიტალში ვალუტის გადაცვლის კომპონენტის გამოკლებით. არაფულადი მუხლები, რომლებიც ისტორიული ღირებულების თვალსაზრისით აღიარებულია უცხოურ ვალუტაში, გადაიყვანება თავდაპირველი ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლითი კურსის გამოყენებით. სამართლიანი ღირებულებით უცხოურ ვალუტაში განსაზღვრული არამონეტარული მუხლების კონვერტაცია ხდება სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღეს მოქმედი სავალუტო გაცვლითი კურსის გამოყენებით. სხვაობები ოპერაციის საკონტრაქტო გაცვლით კურსსა და ოპერაციის დღეს არსებულ სებ-ის სავალუტო გაცვლით კურსს შორის ჩართულია ოპერაციებში, როგორც უცხოური ვალუტით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი. საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსები 2014 და 2015 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისად შეადგენდა 1.8636 და 2.3949 ლარს 1 აშშ დოლართან მიმართებაში, ხოლო 2.2656 და 2.6169 ლარს 1 ევროსთან მიმართებაში.

ამონაგები

კომპანიის ამონაგები წარმოადგენს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სრულად ინვოისირებულ თანხებს. კომპანია შემოსავლებს აღრიცხავს დარიცხვის მეთოდის შესაბამისად, ხოლო გადასახდელ დამატებული ღირებულების გადასახადს აკლებს შემოსავლების ანგარიშებზე ასახული ამონაგების თანხებიდან.

3. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	ნაშთი 31.12.2015 (ლარი)	ნაშთი 31.12.2014 (ლარი)
ნაღდი ფული სალაროში	614	19 300
მიმდინარე საბანკო ანგარიშები	73 338	243 055
	<u>73 952</u>	<u>262 355</u>

კომპანიას საბანკო ანგარიშები გახსნილი აქვს მხოლოდ სს „საქართველოს ბანკში“.

4. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

	ნაშთი 31.12.2015 (ლარი)	ნაშთი 31.12.2014 (ლარი)
დებიტორული დავალიანება	157 873	156 519
საეჭვო ვალის კორექტირება	(115 480)	
	<u>42 393</u>	<u>156 519</u>

5. სასაქონლო მატერიალური მარაგი

	ნაშთი 31.12.2015 (ლარი)	ნაშთი 31.12.2014 (ლარი)
მასალები	115	115
მედიკამენტები		12
სამშენებლო ნარჩენები	7 537	
	<u>7 652</u>	<u>127</u>

6. წინასწარ გადახდილი გადასახადები

2014 წლის 31 დეკემბრისთვის და 2015 წლის 31 დეკემბრისთვის წინასწარ გადახდილ გადასახადებს შემდეგი სტრუქტურა ჰქონდა:

	ნაშთი 31.12.2015 (ლარი)	ნაშთი 31.12.2014 (ლარი)
მოგების გადასახადი	108 071	(123 853)
საშემოსავლო გადასახადი	456	(23)
დღგ	(4 890)	(7 441)
ქონების გადასახადი	1 725	1 618
სხვა გადასახადები	(394)	(394)
სხვა გაუქმებული გადასახადები	1 722	1 722
	<u>106 690</u>	<u>(128 371)</u>

„+“ ნიშნით მოცემულია საგადასახადო ზედმეტობა, ხოლო „-“ ნიშნით საგადასახადო დავალიანება.

სს „ბამბის ნართი“

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით შესაძლებელია სხვადასხვა გადასახადების გადახურვა თუ ერთ გადასახადში კომპანიას ავასად გადახდა უფიქსირდება, ხოლო მეორე გადასახადში დავალიანება.

კომპანიამ 2015 წელი საგადასახადო ზარალით დაასრულა, რომლის ოდენობამ შეადგინა – 72,105 ლარი, ხოლო 2014 წელს საგადასახადო მოგება დაუფიქსირდა 873,296 ლარის ოდენობით, შესაბამისად გადასახდელმა მოგების გადასახადმა შეადგინა - 130,994 ლარი. 2015 წელს კომპანიამ სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხადა 2014 წლის მოგების გადასახადის ოდენობის საავანსო გადასახდელი, რომელიც 2015 წლის მოგების გადასახადში უნდა ჩათვლილიყო. მოგების არარსებობის გამო, კომპანიამ ვერ მოახდინა აღნიშნული ავანსის გამოყენება და ის მას დაუფიქსირდა საგადასახადო აქტივებში.

7. სხვა მიმდინარე აქტივები

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას სხვა მიმდინარე აქტივებში აღრიცხული ჰქონდა შპს „ბიემჯი გრუპზე“ გადახდილი 2500 ლარის ოდენობის ავანსი მიწის აზომვის მომსახურებისთვის.

8. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

კომპანიას ძირითადი საშუალებებს შემდეგი სტრუქტურა ჰქონდა 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მიწა (ლარი)	შენობა- ნაგებობები (ლარი)	მანქანა დანადგარები (ლარი)	ელექტრო გადამცემი საზები (ლარი)	ოფისის აღჭურვილობა (ლარი)	სპეციალური ინსტრუმენტები (ლარი)	მრავალწლიანი ნარგავები (ლარი)	სულ (ლარი)
ისტორიული ღირებულება								
ნაშთი 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	312 823	746 700	229 025		3 529	885	13 158	1 306 120
დამატება				276	286			562
შემცირება	(29 111)	(985)						(30 096)
ნაშთი 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	283 712	745 715	229 025	276	3 815	885	13 158	1 276 586
დამატება		29 623			5 636			35 259
შემცირება	(3 183)	(96 731)						(99 914)
ნაშთი 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	280 529	678 607	229 025	276	9 451	885	13 158	1 211 931
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება		(390 778)	(200 445)		(759)	(178)		(592 160)
ნაშთი 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		(17 491)	(2 286)	(17)	(568)	(141)		(20 503)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი ჩამოწერა								-
ნაშთი 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	(429 301)	(204 811)	(38)	(2 725)	(429)	-	(612 663)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი ჩამოწერა		(15 770)	(2 080)	(21)	(1 398)	(110)		(19 378)
ნაშთი 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	(429 301)	(204 811)	(38)	(2 725)	(429)	-	(632 041)
ნარჩენი 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	280 529	899 344	24 214	238	6 725	456	13 158	579 889

9. გადავადებული საგადასახადო აქტივი

	ნარჩენი ღირებულება (ფინანსური)	ნარჩენი ღირებულება (საგადასახადო)	დროებითი სხვაობები	მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი	მოგების გადასახადი აქტივი (ვალდებულება)
2014					
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	367 053	428 578	61 525	15%	9 229
გაუცემელი ხელფასები	(909)		909	15%	136
ანარიცხები (აუდიტის ხარჯი)	(5 920)		5 920	15%	888
სულ	360 224	428 578	68 353		10 253

	ნარჩენი ღირებულება (ფინანსური)	ნარჩენი ღირებულება (საგადასახადო)	დროებითი სხვაობები	მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი	მოგების გადასახადი აქტივი (ვალდებულება)
2015					
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	286 202.40	444 200	157 997	15%	23 700
გაუცემელი ხელფასები	(909)		909	15%	136
ანარიცხები (აუდიტის ხარჯი)	(2 927)		2 927	15%	439
საგადასახადო ზარალი		70 801	70 801	15%	10 620
საეჭვო მოთხოვნების რეზერვი	(115 480)		115 480	15%	17 322
სულ	166 888	515 001	348 113		52 217

10. მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები

კომპანიის ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდნენ 3046 ლარს. ეს თანხა წარმოადგენს კომპანიის სხვადასხვა კრედიტორებზე გადასახდელი თანხების ჯამს.

11. სხვა მიმდინარე ვალდებულებები

კომპანიის სხვა მიმდინარე ვალდებულებები საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის შედგებოდა აქციონერების წინაშე ვალდებულებებისგან გასაცემ დივიდენდებზე.

12. სააქციო კაპიტალი

2015 წლის 31 დეკემბერს კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 926304 ლარს და ის დაყოფილია 712541 ცალ აქციად. კომპანიას არ მოუხდენია აქციების ემისია ან გამოსყიდვა საანგარიშო წლის განმავლობაში.

13. ამონაგები

	2015 (ლარი)	2014 (ლარი)
საიჯარო მომსახურება	155 069	134 903
სხვა მომსახურება	31 818	29 935
აქტივების რეალიზაცია	121 197	903 950
სასარგებლო ნარჩენების რეალიზაცია	33 592	
სულ ამონაგები	341 675	1 068 788

14. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2015 (ლარი)	2014 (ლარი)
სასარგებლო ნარჩენების თვითღირებულება	34 482	
სულ თვითღირებულება	34 482	0

15. ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანიის ადმინისტრაციული ხარჯების სტრუქტურას საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის შემდეგი სახე აქვს:

	2015 (ლარი)	2014 (ლარი)
ხელფასის ხარჯები	86 543	66 568
რემონტის ხარჯები	307	5 418
კომუნალური გადასახადები	451	369
საოფისე ინვენტარის ხარჯები	281	523
კომუნიკაციის და საინფორმაციო ტექნოლოგიების ხარჯები	492	603
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	14 920	23 690
ცვეთა/ამორტიზაცია	19 378	20 503
გადასახადები	25 962	31 047
საბანკო ხარჯები	516	294
საეჭვო მოთხოვნების ხარჯები	115 480	26 400
ტერიტორიის მოვლის ხარჯები	26 960	
საქველმოქმედო ხარჯები	500	1 700
სხვა ხარჯები	7 117	10 281
	298 906	187 397

16. ფუნქციონირებადი საწარმო და გაუთვალისწინებელი გარემოებები

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმის გათვალისწინებით, რომ საწარმო არის ფუნქციონირებადი, რაც იმას გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ამის გამო ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები. ეს ცვლილებები საკმაოდ ბუნდოვან და ხშირად ურთიერთგამომრიცხავ ხასიათს ატარებენ, რითიც საგადასახადო ორგანოებს საშუალებას აძლევენ მოახდინონ ამ ცვლილებების სხვადასხვანაირი ინტერპრეტირება. გადასახადების შემოწმება შესაძლოა სხვადასხვა ორგანოების მიერ იქნას ჩატარებული, რის გამოც კომპანიას სხვადასხვა ხასიათის ჯარიმების თუ საურავების დაკისრების საფრთხე ექმნება. საგადასახადო წელი საგადასახადო შემოწმებისთვის რჩება ღია სამი მომდევნო წლის განმავლობაში (ზოგიერთ შემთხვევაში თერთმეტი წელიც).

ეს გარემოებები ქმნიან ისეთ საგადასახადო რისკს, რომელიც გაცილებით მაღალია საქართველოში ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი დარწმუნებულია რომ მის მიერ განხორციელებული მიდგომა საგადასახადო საკითხების მიმართ ადეკვატურია ამ მომენტში მოქმედი საკანონმდებლო ინტერპრეტაციების მიმართ, თუმცა არ არის გამორიცხული ის, რომ ეს ინტერპრეტაციები შემდგომში შეიცვალოს და საგადასახადო ორგანოებს სხვა პოზიცია ჰქონდეთ ანალოგიური საკითხების მიმართ.